

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრის, სოფელ გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატის, მაია ზოიძის 2017 წლის ნოემბრიდან, 2018 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

ანგარიში

წარმოგიდგენთ ჩემს მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს - 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს წევრი, ფრაქცია "ოზურგეთის მომავლისთვის" წევრი, მუდმივმოქმედი "საფინანსო-საბიუჯეტო" და "განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა" კომისიის წევრი და საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

როგორც სოფელ გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოს წევრი, აქტიურად ვიყავი ჩაბმული საკრებულოს სამუშაო პროცესში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვესწრებოდი საკრებულოს მორიგ 12 და რიგგარეშე 5, კომისიის 32 და ფრაქციის 18 სხდომას.

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების შესაბამისად, თვეში ორჯერ ვმართავდი სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრას, შეხვედრის მიზანი იყო იმ პრობლემების გაცნობა, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას. ამ შეხვედრების დროს გამოიკვეთა სოციალური პრობლემები, სამედიცინო მომსახურების, სოფლის ცენტრების მოწესრიგების, ნარჩენების შეგროვების ურუნების დამატებისა და სოფლის ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებები. შესაძლებლობის ფარგლებში, დროის მცირე ვადებში ვახდენდი რეაგირებას, შესაბამისი სამსახურების საქმის კურსში ჩაყენებით და კანონის ფარგლებში ვაგვარებდით მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. რომ არა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ურთიერთთანამშრომლობა, გამიჭირდებოდა ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რაც საანგარიშო პერიოდში სოფელში განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოციალური პროგრამიდან, მატერიალური დახმარების მიზნით, გურიანთის თემში შემოსულია 277 განცხადება, რაზეც დაუყოვნებლივ მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობები კანონით დადგენილ ვადაში.

იძლებით გადაადგილებული პირების დახმარების პროგრამიდან 3 მოქალაქეს გაეწია დახმარება 200 ლარის ოდენობით, უსინათლოთა ერთჯერადი

დახმარების პროგრამიდან 6 მოქალაქეს 150 ლარის ოდენობით. დიალექტის პროგრამით სარგებლობს 1 მოქალაქე, სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია 5 მოქალაქეს.

მოსახლეებიდან მიღებული კორესპოდენციების საფუძველზე, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, ციხისფერდის უბანში, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა წლების განმავლობაში დაზიანებულ გზას, მძიმე ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა აღდგენითი და მდინარე სკურდუმის კალაპოტის გასწორხაზოვნებითი სამუშაოები, გოგი მუჯირის უბანში დაიგო ბეტონის საფარიანი გზა 200x3 მ., თანხით 17628 რომელიც ციხისფერდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიას უკავშირდება.

უმაღლესი ხარისხის სახურავითა და სამშენებლო მასალებით დახმარება გაეწია 10 ოჯახს. გზების დეპარტამენტის მიერ 1 300 000 ლარი გამოიყო, რომელიც ორ სოფელთან ერთად, გურიანთის თემშიც, მდინარე ნატანების გასწორხაზოვნებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობას მოხმარდება.

ჩატარდა გარე განათების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შეიცვალა ლამპიონების კორპუსები, ელექტროსადენები, ე.წ. ტროსელები და მაგნიტური ამომრთველები, დამონტაჟდა დიოდური, სოდიუმისა და ეკონათურები.

გურიანთა - ციხისფერდის ტერიტორიაზე დამატებით სამი ერთეული ნარჩენების შემკრები კონტეინერი დაიდგა.

მოსახლეობის მოთხოვნით, მოიხრემა ზეგანის, საყანე ფართობებში მისასვლელი გზა და დაზიანებული გზის საფარის რამდენიმე მონაკვეთი.

სოფელ გურიანთის საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები:

- გადაიხურა შენობის სახურავი;
- კეთილმოეწყო სამზარეულო, საწყობი და სველი წერტილები;
- ბაღის ეზოში დამონტაჟდა ჭაბურღილი;

პროექტის საერთო ღირებულება 27 719 ლარს შეადგენდა.

აქტიურად ვმონაწილეობდი სხვადასხვა ტრენინგში. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ორგანიზებით თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „გენდერული მეინსტრიმინგი“, "მომავალ ლიდერ ქალთა" პროგრამის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით მონაწილეობა მივიღე ქალი საკრებულოს წევრების როლის გაძლიერებისა და ფინანსური მოძიების მექანიზმის განხილვაში, სადაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალ წევრებს შესაბამისი სერტიფიკატები გადმოგვცა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გურიანთის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საკუთარი ინიციატივით სათამაშოები და ტკბილეული გადავეცით.

სოციალურად დაუცველი ოჯახების პირველკლასელებს ასევე საკუთარი ინიციატივით, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საჩუქრად სასკოლო ჩანთები გადავეცით.

სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს საახალწლო ნობათი დაურიგდათ.

გაეროს რეგიონალური ცენტრის მხარდაჭერითა და უშუალოდ ჩემი ინიციატივით სოფლის მოსახლეობას ადგილზე ჩაუტარდა "C" ჰეპატიტის უფასო გამოკვლევები.

"თვითმმართველობა განათლებისთვის" ფარგლებში სოფელში ჩატარდა საკრებულოში დანერგილი "ელექტრონული პეტიციის" მექანიზმის გაცნობა.

"ფსიქოპროექტის" წარმომადგენლების ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, აზიური ფაროსანას მიერ გამოვლენილი პრობლემების მოგვარების გზებზე.

ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და მერიის გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით "ვაშნარის ნაქალაქარზე" არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდა, აღსანიშნავია, რომ მუშაობის პროცესში აღმოჩენილ იქნა უძველესი არტეფაქტები. ისტორიული სოფლის, ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულები, გურიანთისა და ციხისფერდის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

ჩართული ვიყავი და მხარი დავუჭირე საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების განხილვა-დამტკიცებას. განსაკუთრებით გამოვყოფ მთავარი საფინანსო დოკუმენტის მიღებას, რომელშიც გაწერილია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სოციალური პროგრამები. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გავზარდეთ სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამაში არსებული ბიუჯეტი.

ჩემი მხარდაჭერით, მეწარმე ქალთა ფორუმში მონაწილეობა მიიღო სოფლის მკვიდრმა, ფერმერმა, მზია შარაშენიძემ. ფორუმი გაიმართა "ქალები გურიისთვის" მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში, სადაც მას საშუალება მიეცა წარმოედგინა თავისი პრობლემა. მიმაჩნია, რომ მზია შარაშენიძის საქმიანობა არის კარგი მაგალითი ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებსაც სურთ მცირე ბიზნესის წამოწყება. ვფიქრობ, ასეთი ადამიანების მხარდაჭერა და მათი წახალისება ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის განვითარებისთვის.

2019 წლისთვის სოფლის მხარდაჭერი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა, სოფლის სტადიონის მოწესრიგება, დამატებით გარე განათების მოწყობა, ბიბლიოთეკის ოთახის კეთილმოწყობა (ინვენტარი, საჭირო ნივთები), ციხისფერდის უბანში 3 ჭაბურღილის დამონტაჟება და სასაფლაოს შეღობვა. აღნიშნულ სამუშაოებზე დაიხარჯება 72 000 ლარი.

მიუხედავად ჩემს მიერ გაწეული საქმიანობისა და ჩამოთვლილი აქტივობისა გასაკუთრებული გაცილებით მეტია. ვიმედოვნებ, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით შევძლებ ჩემი სოფლისთვის ბევრი საჭირო და სასიკეთო საქმის კეთებას.

და ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს აპარატს, კოლეგებს და ქალაქის მერიას ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებაში მხარდაჭერისთვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი
სოფელ გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატი მათა ზოიძე.
22.02.2019